München-72

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 177 (4667)

1972 წ. 7 სექტემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

# ინციდენტი ოლიმპიურ სოფელში

მიუნხენი, 5 სექტემბერი. დღეს აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე XX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. დაუმემ განაცხადა, რომ ოლიმპიური სოფლის შენობაზე, სადაც ისრაელის სპორტული დელეგაციის წევრები ცხოვრობენ, მოეწყო თავდასხმა იმ პირთაგან შემდგარი ჯგუფისა, რომლებიც, როგორც აქ აღნიშნავენ, პალესტინის ექსტრემისტულ ორგანიზაცია „შავ სექტემბერს" ეკუთვნიან. თავდასხმამ ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია.

ზემოაღნიშნულ პირთაგან შემდგარი ჯგუფი იარაღის მუქარით აკავებს სპორტული დელეგაციის დანარჩენ წევრებსაც — მოითხოვს, რომ ისრაელის მთავრობამ ციხეებიდან გაათავისუფლოს 200 პალესტინელი.

ისრაელელ სპორტსმენებთან ერთად შენობაში ჩაკეტილი აღმოჩნდნენ, აგრეთვე, ურუგვაისა და ჰონკონგის სპორტული დელეგაციების წევრები.

მიუნხენის პოლიციამ დღეს ალყა შემოარტყა ოლიმპიურ სოფელს და მის ტერიტორიაზე ჟურნალისტების შესვლაც აკრძალა. პოლიციელები მხოლოდ სპორტსმენებს უშვებენ შეჯიბრებებზე.

გფრ-ის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალერსმა დამსწრეთ აცნობა, რომ კანცლერმა ვ. ბრანდტმა „გადაჭრით დაგმო ტერორისტების მოქმედება".

როგორც აქ ცნობილი გახდა, საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა ოლიმპიურ კომიტეტს სინანული გამოუცხადა ამ ინციდენტთან დაკავშირებით და თანაუგრძნო ადამიანთა მსხვერპლის გამო.

მიუნხენი, 5 სექტემბერი. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტეს დროებით შეწყვიტონ ოლიმპიადა მიუნხენის ოლიმპიურ სოფელში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. 5 სექტემბერს მხოლოდ იმ დღეს დაწყებული შეჯიბრებები დამთავრდება.

ოლიმპიური სოფლის რაიონში შეჰყავთ ბუნდესვერის ჯარისკაცები. სოფელი კვლავინდებურად პოლიციის რაზმებითა და ჯარისკაცებითაა ალყაშემორტყმული.

მიუნხენში ჩამოვიდა გფრ-ის კანცლერი ვ. ბრანდტი.

ბონი, 5 სექტემბერი. აქ გაიმართა გფრ-ის მთავრობის სხდომა, რომელმაც მიუნხენის ოლიმპიურ სოფელში შექმნილი ვითარება განიხილა.

სხდომის შემდეგ გფრ-ის მთავრობის ბეჭდვითი სიტყვისა და ინფორმაციის უწყებამ გაავრცელა არაბეთის ქვეყნების მთავრობებისა და ამ სახელმწიფოების მეთაურებისადმი გფრ-ის კანცლერ ვ. ბრანდტის მიმართვის ტექსტი.

მიმართვაში ნათქვამია: „ფედერალური მთავრობა ღრმად შეაძრწუნა ცნობამ, რომ ოლიმპიური სიმშვიდე დარღვეულია თავდასხმის შედეგად, რომელმაც ადამიანები იმსხვერპლა და სხვათა სიცოცხლესაც ემუქრება. ამ ჟამს მოგიწოდებთ ყველაფერი იღონოთ საიმისოდ, რომ განთავისუფლდნენ თავდამსხმელთა ხელში ჩავარდნილი მძევლები".

# სროლა ფიურსტენფელდბრუკში

მიუნხენი, 6 სექტემბერი. გუშინ საღამოს ექსტრემისტული ორგანიზაცია „შავი სექტემბრის" ტერორისტები, ერთი მხრივ, და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციის ხელისუფალნი, მეორე მხრივ, შეთანხმდნენ, რომ როგორც ტერორისტები, ისე მძევლები თვითმფრინავით გაიგზავნებიან ერთ-ერთ არაბულ ქვეყანაში.

გვიან საღამოს ტერორისტები და მძევლები მიიყვანეს ოლიმპიური სოფლის საზღვარზე, ხოლო შემდეგ ორი შვეულმფრენით გადაიყვანეს ფიურსტენფელდბრუკის აეროდრომზე, მიუნხენიდან 25 კილომეტრზე, სადაც მათ ელოდა თვითმფრინავი „ბოინგი". როცა შვეულმფრენები დაეშვნენ, ჩასაფრებულმა პოლიციელმა სნაიპერებმა ცეცხლი დაუშინეს ტერორისტებს.

სროლის დროს ტერორისტებმა ხელყუმბარებით ამოხოცეს მძევლები, ერთ-ერთი შვეულმფრენის პილოტი, აგრეთვე, პოლიციელი. სამი პოლიციელი დაიჭრა.

ხელყუმბარებმა ააფეთქა შვეულმფრენი. პოლიციამ და არმიის პატრულებმა ალყა შემოარტყეს აეროდრომის ტერიტორიას და ჩხრეკავენ იქაურობას.

ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელმაც განმარტა ჩასაფრების მიზეზები, განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ მძევლები დათანხმდნენ ტერორისტებთან ერთად გაფრენილიყვნენ კაიროში ან მაროკოში, გერმანიის ოფიციალურ პირებს, რომლებსაც მოლაპარაკება ჰქონდათ ტერორისტებთან, ეშინოდათ, რომ ჩასვლისთანავე ყველა მძევალს მოკლავდნენ. ამიტომ პოლიციამ გადაწყვიტა გადაერჩინა მძევლები თვითმფრინავში ჩასხდომამდე.

ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადების თანახმად სროლის დროს მოკლულია 5 ტერორისტი და დაპატიმრებულია 3.

როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა ალერსმა განაცხადა, ფედერალურ მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ დაეშვა ტერორისტთა გაფრენა მძევლებითურთ. ალერსმა განაცხადა, რომ აეროდრომზე მომხდარი აქცია დაგეგმილი იყო.

# საბჭოთა სპორტული დელეგაციის განცხადება

მიუნხენი, 6 სექტემბერი. ოლიმპიადაზე სსრ კავშირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელებმა შემდეგი განცხადება გააკეთეს: „განვიცდით რა ღრმა სინანულს XX ოლიმპიურ თამაშებში 5 სექტემბერს მომხდარი ტრაგედიის გამო, საბჭოთა სპორტული დელეგაცია აცხადებს თავის მისწრაფებას კვლავაც შეუწყოს ხელი ოლიმპიური იდეალების, მშვიდობის საქმისა და თანამშრომლობის პროგრესს, მიუნხენში ოლიმპიური შეჯიბრებების წარმატებით დამთავრებას".

# ოლიმპიადა გაგრძელდება

მიუნხენი, 6 სექტემბერი. სოკ-ის აღმასკომმა გადაწყვიტა გააგრძელოს ოლიმპიურ სოფელში გუშინ მომხდარი ინციდენტის გამო შეწყვეტილი XX ოლიმპიური თამაშები.

ოლიმპიური თამაშების დახურვა მოეწყობა ორშაბათს, 11 სექტემბერს, ნაცვლად უწინ დაგეგმილი 10 სექტემბრისა.

სოკ-ის საპატიო პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე დღეს გამართულ სამგლოვიარო ცერემონიალზე გამოსვლისას მოუწოდა ბოლომდე მიიყვანონ XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები.

ოლიმპიური შეჯიბრებები 6 სექტემბერს დღის მეორე ნახევარში განახლდება.

# დღე მეთერთმეტე

მიუნხენი, 5 სექტემბერი. დღეს დილით ოლიმპიური ჯილდოებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ „დებიუტანტები": ცხენის გაწვრთნაში მოასპარეზე მხედრები, კლასიკური სტილის მოჭიდავეები, კანოეებითა და ბაიდარებით ნიჩბოსნობის ოსტატები.

მიუნხენის გარეუბანში მდებარე ობერშლაისჰაიმის ტრასამ თითქმის 20 ათასი მაყურებელი მიიზიდა. ავტომობილის სადგომები არა მარტო დასავლეთგერმანული მანქანებით იყო სავსე, არამედ აქ ევროპის სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ბევრ ავტომობილსაც ნახავდით.

ოლიმპიური რეგატის „მცირე ფლოტის" ყველა საბჭოთა წარმომადგენელმა ამ დღეს წარმატებით იასპარეზა.

სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე, მომავალ შეჯიბრებაზე რომ ელაპარაკებოდნენ, ა. შაპარენკომ თქვა, ბრძოლა ფინალის დღეს იქნება მძაფრიო. „მაგრამ ჩვენ თავიდანვე მოვსინჯავთ ერთმანეთს, შევამოწმებთ ვის რისი შნო აქვს".

მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონისა და მეხიკოს ოლიმპიადის ოქროს ლაურეატის სიტყვები მისივე სერიაში დამტკიცდა. შაპარენკოსთან ერთად სტარტი აიღო გდრ-ის წარმომადგენელმა, ახალგაზრდა ნიჩბოსანმა ი. მატერნმა. და თუმცა ნახევარფინალში პირველ სამ ადგილზე გასული ნავები გადიოდა, ბრძოლა თავიდანვე მწვავე და საინტერესო გამოდგა — მატერნი ოდნავ ჩამორჩა გამარჯვებულ შაპარენკოს.

ი. რიაბჩინსკაიამ, რომელმაც ესტაფეტა ერთადგილიანი ბაიდარებით ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლ. პინაევასგან მიიღო, პირველივე სერიაში გამოავლინა თავისი სახელოვანი წინამორბედის მაღალი რეპუტაციის შენარჩუნების დაუცხრომელი წყურვილი: 500-მეტრიანი დისტანციის სტარტზევე წინ გაიჭრა და ვერც ვერავინ დაეწია.

პირველი დღის ორ გაცურვაში ოლიმპიური რეგატის ფინალის საგზურები გათამაშდა. პინაევამ, რომელიც ახლა დებიუტანტ ე. კურიშკოსთან ერთად ორადგილიანი ნავით გამოდის, დამაჯერებლად გაიარა მთელი დისტანცია და მეტოქეებს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურა. ფინალში გავიდა კანოისტი ვ. იურჩენკოც, რომელიც მეორე იყო თავის სერიაში.

თანაბარ ტემპში იასპარეზეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს ორადგილიანი კანოესა (ვ. ჩესიუნასი და ი. ლობანოვი) და ორადგილიანი ბაიდარის (ნ. გორბაჩოვი და ვ. კრატასიუკი) საბჭოთა ეკიპაჟებმა.

ნახევარფინალში გავიდა საბჭოთა ოთხადგილიანი ბაიდარაც, რომელმაც საინტერესო ბრძოლაში აჯობა გდრ-ის კვარტეტს.

„კლასიკოსთა" ტურნირი მიუნხენის ზაზროპის იმავე დარბაზში მიმდინარეობს, სადაც ასე ბრწყინვალედ იასპარეზეს თავისუფალი სტილით ჭიდაობის საბჭოთა ოსტატებმა. სსრ კავშირის სპორტსმენებმა პირველი ორთაბრძოლები წარმატებით ჩაატარეს: გაიმარჯვეს ჟ. მეგრელიშვილმა, რ. კაზაკოვმა, ვ. კონსტანტინოვმა და ვ. ზუბკოვმა.

მიუნხენის პარკ ნიმფენბურგის სასახლის მდელოზე დაიწყო გუნდური ტურნირი ცხენის გაწვრთნაში. ამ საქმეში, ისევე როგორც სროლაში, ქალები ვაჟებთან ერთად ასპარეზობენ და, უნდა ითქვას, წარმატებითაც. ჯერჯერობით ყველაზე კარგი შედეგი აქვს გფრ-ის წარმომადგენელს ლიზელოტ ლინზენჰოფს — 1763,0 ქულა. II ადგილზეა მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი ი. კიზიმოვი (1701,0), რომელიც თავისი ერთგული იხორით გამოდის. საბჭოთა გუნდი ლიდერს — გფრ-ის ნაკრებს 33 ქულით ჩამორჩება და II ადგილს ინარჩუნებს. ჯერჯერობით III ადგილზე არიან შვედები. ისინი საბჭოთა ცხენოსნებთან 75 ქულას აგებენ.

აშკარად მოეცარათ ხელი დაშნით მოფარიკავეთა პირად ტურნირში მოასპარეზე საბჭოთა სპორტსმენებს: ნახევარფინალში ი. ვალეტოვმა და გ. კრისმა მხოლოდ თითოჯერ გაიმარჯვეს, ს. პარამონოვმა კი ყველა შეხვედრა წააგო.

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებს ქვეჯგუფში ყველაზე მძიმე ბრძოლა პოლონელებთან გადახდა. პოლონელებს ამ თამაშში გამარჯვება მხოლოდ მორალურ კმაყოფილებას ანიჭებდა, საბჭოთა გუნდს კი ქვეჯგუფში I ადგილს. პოლონეთის გუნდი უდიდესი აღმაფრენით იბრძოდა ოლიმპიური ჩემპიონის წინააღმდეგ. მატჩის ბედი მხოლოდ მეხუთე, დასკვნითი პარტიის ბოლო წუთებში გადაწყდა. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა — 3:2 (11:15, 15:12, 15:12, 10:15, 15:13).

დღევანდელი საღამოს პროგრამა ოლიმპიურ სოფელში მომხდარი ინციდენტის გამო არ შედგება. გამოცხადებულია, რომ 6 სექტემბერს შეჯიბრებები დილით კი არ დაიწყება, არამედ 14 საათზე, ადგილობრივი დროით.

• • •

აუგსბურგში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. 28-ე წუთზე ბლოხინმა საბოს მიერ საჯარიმო დარტყმით ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო და ანგარიში გახსნა. მაგრამ შესვენების შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს: 78-ე წუთზე დეინამ კარგად გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო, 87-ე წუთზე კი შოლტისეკმა შესანიშნავი დარტყმით გამარჯვება პოლონელებს მოუტანა — 2:1.

თავის ჯგუფში II ადგილზე გასვლის შემთხვევაში საბჭოთა ნაკრები დაკარგავს ოქროს მედლებისათვის ბრძოლის უფლებას და მხოლოდ III საპრიზო ადგილისთვის ითამაშებს.

ამ დღეს გამართული სხვა მატჩები ასე დამთავრდა: გდრ — მექსიკა 7:0 (2:0), მაროკო — დანია 1:3 (0:0).

ვ. კუკუშკინი,
ა. სტაროდუბი,
ი. ხრომოვი.

(საქდესის სპეც. კორ.).

• • •

სურათზე: სსრ კავშირისა და პოლონეთის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი.

(მიუნხენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

### მხოლოდ წინასწარი შედეგები...

## ხელბურთი

### წინასწარი ტურნირები

„ა" ჯგუფი. სსრ კავშირი — შვეცია 11:11, სსრ კავშირი — დანია 12:12, სსრ კავშირი — პოლონეთი 17:11, შვეცია — დანია 16:10, შვეცია — პოლონეთი 13:13, დანია — პოლონეთი 8:11. ადგილები. 1-2. სსრ კავშირი, შვეცია — 4-4 ქულა, 3. პოლონეთი — 3, 4. დანია — 1.

„ბ" ჯგუფი. გდრ — ჩეხოსლოვაკია 14:12, გდრ — ტუნისი 21:9, გდრ — ისლანდია 16:11, ჩეხოსლოვაკია — ტუნისი 25:7, ჩეხოსლოვაკია — ისლანდია 19:19, ისლანდია — ტუნისი 27:16. ადგილები. 1. გდრ — 6, 2. ჩეხოსლოვაკია — 3, 3. ისლანდია — 3, 4. ტუნისი — 0.

„გ" ჯგუფი. რუმინეთი — გფრ 13:11, რუმინეთი — ესპანეთი 15.12, რუმინეთი — ნორვეგია 18:14, გფრ — ესპანეთი 13:10, გფრ — ნორვეგია 15:15, ნორვეგია — ესპანეთი 19:17. ადგილები. 1. რუმინეთი — 6, 2. გფრ — 3, 3. ნორვეგია — 3, 4. ესპანეთი — 0.

„დ" ჯგუფი. იუგოსლავია — უნგრეთი 18:16, იუგოსლავია—აშშ 25:15, იუგოსლავია — იაპონია 20:14, უნგრეთი — აშშ 28:15, უნგრეთი — იაპონია 20:12, იაპონია — აშშ 20:16. ადგილები. 1. იუგოსლავია — 6, 2. უნგრეთი — 4, 3. იაპონია — 2, 4. აშშ — 0.

## კალათბურთი

### წინასწარი ტურნირები

I ჯგუფი. აშშ—კუბა 67:46, აშშ — ეგვიპტე 96:31, აშშ — ჩეხოსლოვაკია 66:35, აშშ — ბრაზილია 61:54, აშშ — იაპონია 99:33, აშშ — ესპანეთი 72:56, აშშ — ავსტრალია 81:55, კუბა — ეგვიპტე 105:64, კუბა — ჩეხოსლოვაკია 77:65, კუბა — ბრაზილია 64:63, კუბა — იაპონია 108:63, კუბა — ესპანეთი 74:53, კუბა — ავსტრალია 84:70, ბრაზილია — ეგვიპტე 110:84, ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 83:82, ბრაზილია — იაპონია 110:55, ბრაზილია — ესპანეთი 72:69, ბრაზილია — ავსტრალია 69:75, ჩეხოსლოვაკია — ეგვიპტე 94:64, ჩეხოსლოვაკია—იაპონია 74:61, ჩეხოსლოვაკია — ესპანეთი 74:70, ჩეხოსლოვაკია — ავსტრალია 69:68, ესპანეთი — ეგვიპტე 72:58, ესპანეთი — იაპონია 87:76, ესპანეთი—ავსტრალია 79:74, ავსტრალია — ეგვიპტე 89:66, ავსტრალია — იაპონია 92:76, იაპონია — ეგვიპტე 78:73

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 7 | 7 | 0 | 7 |
| კუბა | 7 | 6 | 1 | 6 |
| ბრაზილია | 7 | 4 | 3 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 7 | 4 | 3 | 4 |
| ესპანეთი | 7 | 3 | 4 | 3 |
| ავსტრალია | 7 | 3 | 4 | 3 |
| იაპონია | 7 | 1 | 6 | 1 |
| ეგვიპტე | 7 | 0 | 7 | 0 |

ოლიმპიური ჯილდოებისთვის ბრძოლას განაგრძობენ აშშ-ს და კუბის გუნდები.

II ჯგუფი. სსრ კავშირი — იუგოსლავია 74:67, სსრ კავშირი — იტალია 79:66, სსრ კავშირი — სენეგალი 94:52, სსრ კავშირი — პოლონეთი 94:64, სსრ კავშირი — ფილიპინები 111:80, სსრ კავშირი — პუერტო-რიკო 100.87, სსრ კავშირი — გფრ 87:63, იტალია — იუგოსლავია 78:65, იტალია — სენეგალი 92:56, იტალია — პოლონეთი 71:59, იტალია — ფილიპინები 100:81, იტალია — პუერტო-რიკო 71:54, იტალია — გფრ 68:57, იუგოსლავია — სენეგალი 73:57, იუგოსლავია — პოლონეთი 85:64, იუგოსლავია — ფილიპინები 117:76, იუგოსლავია — პუერტო-რიკო 74:79, იუგოსლავია — გფრ 81:56, პუერტო-რიკო — სენეგალი 92:57, პუერტო-რიკო — პოლონეთი 85:83, პუერტო-რიკო — ფილიპინები 92:72, პუერტო-რიკო — გფრ 81:74, გფრ — სენეგალი 72:62, გფრ — პოლონეთი 67:65, გფრ — ფილიპინები 93:74, პოლონეთი — სენეგალი 95:59, პოლონეთი — ფილიპინები 90:75, ფილიპინები — სენეგალი 68:62.




### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 7 | 0 | 7 |
| იტალია | 7 | 5 | 2 | 5 |
| იუგოსლავია | 7 | 5 | 2 | 5 |
| პუერტო-რიკო | 7 | 5 | 2 | 5 |
| გფრ | 7 | 3 | 4 | 3 |
| პოლონეთი | 7 | 2 | 5 | 2 |
| ფილიპინები | 7 | 1 | 6 | 1 |
| სენეგალი | 7 | 0 | 7 | 0 |

ოლიმპიური ჯილდოებისთვის ბრძოლას განაგრძობენ სსრ კავშირისა და იტალიის გუნდები.

# მედლები, ადგილები, ქულები

(არაოფიციალური გუნდური ჩათვლა)

მდგომარეობა 4 სექტემბრისთვის

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | IV | V | VI | მედლები სულ | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 20 | 21 | 18 | 23 | 14 | 5 | 59 | 419 |
| 2. სსრ კავშირი | 21 | 18 | 16 | 11 | 13 | 8 | 55 | 366 |
| 3. გდრ | 16 | 10 | 16 | 11 | 10 | 15 | 42 | 292,75 |
| 4. იაპონია | 11 | 6 | 9 | 8 | 5 | 4 | 26 | 178,5 |
| 5. გფრ | 5 | 6 | 9 | 9 | 14 | 10 | 20 | 159,5 |
| 6. უნგრეთი | 2 | 6 | 9 | 4 | 3 | 5 | 17 | 103 |
| 7. ავსტრალია | 5 | 5 | 2 | 5 | 3 | 2 | 12 | 90 |
| 8. პოლონეთი | 4 | 3 | 1 | 5 | 4 | 6 | 8 | 76 |
| 9. ბულგარეთი | 3 | 5 | 1 | 5 | 2 | 2 | 9 | 70,5 |
| 10. იტალია | 3 | 3 | 5 | 2 | 1 | 1 | 11 | 64.5 |
| 11. შვეცია | 4 | 2 | 3 | 1 | 2 | 7 | 9 | 64 |
| 12. ინგლისი | 3 | 3 | 3 | 2 | 1 | 5 | 9 | 60,5 |
| 13. ჩეხოსლოვაკია | 1 | 3 | 2 | 3 | 1 | 3 | 6 | 44 |
| 14. საფრანგეთი | 1 | 1 | 4 | 1 | 2 | — | 6 | 34.5 |
| 15. რუმინეთი | — | 1 | 3 | 1 | 4 | 4 | 4 | 32 |
| 16. კანადა | — | 2 | — | 4 | 2 | 2 | 2 | 27 |
| 17. ჰოლანდია | 1 | — | 2 | 1 | 2 | 4 | 3 | 26 |
| 18. ნორვეგია | 2 | 1 | — | — | 2 | — | 3 | 23 |
| 19-20. შვეიცარია | — | 2 | — | 1 | — | 4 | 2 | 17 |
| 19-20. ირანი | — | 1 | 1 | 1 | 3 | — | 2 | 17 |
| 21. ფინეთი | 1 | — | 1 | 1 | — | 2 | 2 | 16 |
| 22-24. ახალი ზელანდია | 1 | 1 | — | — | — | 1 | 2 | 13 |
| 22-24. კსდრ | 1 | — | 1 | — | — | 2 | 2 | 13 |
| 22-24. ავსტრია | — | 1 | 1 | — | 1 | 2 | 2 | 13 |
| 25. დანია | 1 | — | — | 1 | — | 1 | 1 | 11 |
| 26. თურქეთი | — | 1 | 1 | — | 1 | — | 2 | 10,5 |
| 27. კუბა | — | — | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 9,5 |
| 28-29. მონღოლეთი | — | 1 | — | 1 | — | — | 1 | 8 |
| 28-29. ბელგია | — | 1 | — | 1 | — | — | 1 | 8 |
| 30. ბრაზილია | — | — | 1 | 1 | — | 1 | 1 | 7,5 |
| 31. უგანდა | 1 | — | — | — | — | — | 1 | 7 |
| 32-34. იამაიკა | — | — | 1 | — | 1 | — | 1 | 6 |
| 32-34. კენია | — | — | 1 | — | 1 | — | 1 | 6 |
| 32-34. ინდოეთი | — | — | — | 2 | — | — | — | 6 |
| 35-40. კოლუმბია | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 35-40. ლიბანი | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 35-40. არგენტინა | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 35-40. სამხრეთ კორეა | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 35-40. ესპანეთი | — | — | — | 1 | 1 | — | — | 5 |
| 35-40. იუგოსლავია | — | — | — | — | 2 | 1 | — | 5 |
| 41. ეთიოპია | — | — | 1 | — | — | — | 1 | 4 |
| 42. ეკვადორი | — | — | — | 1 | — | — | — | 3 |
| 43. საბერძნეთი | — | — | — | — | 1 | 1 | — | 2,75 |
| 44-45. ბირმა | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 44-45. მექსიკა | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 46-47. განა | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 46-47. პუერტო-რიკო | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის ტყვიის მსროლელთა (ნებისმიერი შაშხანით სტანდარტი 8×40) და მესტენდურეთა (მრგვალი სტენდი) შეჯიბრებების შედეგები.



სურათზე: სსრ კავშირისა და იუგოსლავიის კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

საკდესის ტელეფოტო.

# გიწვევთ ტელეტურნირში

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და საქართველოს მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტული განყოფილება ოქტომბრიდან აწყობენ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ტელეტურნირს, რომლის მიზანია რესპუბლიკის მოსახლეობაში სპორტის შემდგომი პროპაგანდა, მშდ ახალი კომპლექსის პოპულარიზაცია და ფიზკულტურულ მოძრაობაში რესპუბლიკის მოსახლეობის უფრო მასობრივად ჩაბმა.

ტელეტურნირში მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივები. ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან მშდ კომპლექსით გათვალისწინებული ნორმების ჩაბარებაში, ქართულ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევაში და სპორტის სხვა სახეობებში.

ტელეტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას. შედგენილია დებულება და ჟიური. ჟიურის შემადგენლობაში არიან წარსულში ცნობილი სპორტსმენები, ფიზკულტურული მუშაკები.

ტელეტურნირის მატჩები გადაიცემა მოძრავი სატელევიზიო სადგურით შეჯიბრების ადგილებიდან.

ასპარეზობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა კოლექტივებმა საქართველოს მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტულ განყოფილებაში უნდა გაგზავნონ გუნდის განაცხადი 26 ფიზკულტურელის შემადგენლობით, ასეთი თანმიმდევრობით:

1. ქართული ჭიდაობა — 1 მონაწილე (მონაწილის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი და საქმიანობა, რასაც იგი კოლექტივში ეწევა. ეს მითითება საერთოა ყველა სახეობაში).
2. პირველადი დახმარების აღმოჩენა — 4 მონაწილე (2 ქალი და 2 ვაჟი).
3. შეჯიბრება ორიენტირებაში — 2 მონაწილე (ქალი და ვაჟი).
4. ლახტი — 3 მონაწილე.
5. შეჯიბრება ორფუთიანი საწონების აწევაში — 1 მონაწილე.
6. სიმაღლეზე ხტომა — 2 მონაწილე (ქალი და ვაჟი).
7. შეჯიბრება წინაღობათა ზოლის გადალახვაში — 2 მონაწილე (ქალი და ვაჟი).
8. ფეხბურთის კარში 11-მეტრიანი საჯარიმოს დარტყმა — ოთხი მინდვრის მოთამაშე, ერთი მეკარე.
9. დილის ვარჯიშის კომპლექსის საუკეთესო შემსრულებელი — 2 მონაწილე (ქალი და ვაჟი).
10. შეჯიბრება ველოდანადგარზე — 2 მონაწილე (ქალი და ვაჟი).
11. შეჯიბრება ტურისტულ ჩვევებში — 2 მონაწილე (ქალი და ვაჟი).
12. შეჯიბრება ღერძზე აზიდვაში — 2 მონაწილე.

# ფინალში ითამაშებენ

დუშანბეში გაიმართა ამიერკავკასიის, შუა აზიის რესპუბლიკებისა და ყაზახეთის ყრუ-მუნჯ მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

გაიმარჯვა საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების თბილისის ცენტრალური კულტურის სახლის გუნდმა (მ. პაიჭაძე, კ. ბაბახანოვი, ტ. ვერულაშვილი, რ. ტარმინოვა), რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

თბილისელი მოჭადრაკეები მიწვეული არიან სსრ კავშირის ყრუ-მუნჯთა ჩემპიონატის ფინალში, რომელიც ნოემბერში მინსკში გაიმართება.

**ვ. ითონიშვილი,**
საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების თბილისის ცენტრალური კულტურის სახლის დირექტორი.

# ექვს სახეობაში

დამთავრდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი „განთიადის" სიღნაღის რაისაბჭოს სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, მძლეოსნობა, ჭადრაკი და შაში.

ფრენბურთელთა და მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდების შეჯიბრებებში გაიმარჯვეს სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკის წარმომადგენლებმა, მძლეოსნობაში და მოშაშეთა ტურნირში—წნორის მექანიკური ქარხნის გუნდებმა, მსროლელთა შორის — ხირსის ღვინის ქარხნის, ჭადრაკში — სიღნაღის ხალიჩების ფაბრიკის კოლექტივმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი სიღნაღის № 16 სამკერვალო ფაბრიკამ დაიკავა. II ადგილზეა „სამტრესტის" სიღნაღის ქარხნის სამმართველოს კოლექტივი, III — ხალიჩების ფაბრიკის ნაკრები.

შარშანდელი ჩემპიონი — წნორის მექანიკური ქარხნის კოლექტივი ამჯერად IV ადგილს დასჯერდა.

**ი. აბულაშვილი,**
„განთიადის" სიღნაღის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

# ოლიმპიური მოზაიკა

მიუნხენის ოლიმპიადაზე შეჯიბრებების შემდეგ პრიზიორები სადოპინგო კონტროლს გადიან. „უიღბლო" გამოდგა ეს პროცედურა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულ ამერიკელ რ. დემონტისთვის. სადოპინგო კონტროლმა ოლიმპიური ჩემპიონის ორგანიზმში აღმოაჩინა საშუალება, რომელიც, ოლიმპიური წესებით, ძლიერ სტიმულატორად ითვლება.

ამერიკელ მოცურავეს დისკვალიფიკაცია მისცეს და იგი 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მეორე ოქროს მოპოვების იმედს გამოეთხოვა. მაგრამ ყველაზე სამწუხარო მისთვის ისაა, რომ, არსებული წესების თანახმად, დემონტს ოქროს მედალი უნდა ჩამოართვან.

ყოფილ ოლიმპიელთაგან, რომლებიც მიუნხენის თამაშებს ესწრებიან, ყველაზე ხანდაზმულია 89 წლის ნორვეგიელი კონრად კარლსრუდი. 1908 წელს ლონდონში მან ვერცხლის მედალი მოიპოვა ტანვარჯიშში.

დასავლეთგერმანელ სპორტსმენს ჰ. ვინილერს ძალიან სურს იმ ცხენის ყიდვა, რომლითაც მან არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ ცხენს პირდაპირ კოსმოსური ფასი დაადეს — 400 ათასი მარკა! და აი, გფრ-ის ერთ-ერთმა ცნობილმა ნრეწველმა მასტმა განაცხადა, რომ ცხენს იყიდის, მერე კი სპორტსმენს მხოლოდ იმ პირობით აჩუქებს, თუ ვინილერი ოთხფეხა მეგობარს „იეგერმაისტერს" დაარქმევს („იეგერმაისტერი" მასტის ფირმის ერთ-ერთი ნაწარმის — მაგარი სასმელის სახელწოდებაა). მაგრამ ეს ხომ ოლიმპიური მოძრაობის გამოყენება იქნება ბიზნესის მიზნით. ამიტომ ვინილერს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, მიიღოს ეს საჩუქარი, თუ უარი თქვას მასზე.

ჭოკით მხტომელთა ასპარეზობის წინ მთავარ ფავორიტს, თავის გამარჯვებაში უყოყმანოდ დარწმუნებულ ამერიკელ რობერტ სიგრენს ჰკითხეს, შეძლებენ თუ არა მისი მეტოქეები 550 სმ სიმაღლის დაძლევას. სიგრენმა ასე უპასუხა: „რასაკვირველია შეძლებენ, ოღონდ თუ ოლიმპიური სტადიონის სახურავიდან გადახტებიან".

ამერიკელის „პროგნოზი" არ გამართლდა: შესანიშნავმა სპორტსმენმა, 29 წლის ინჟინერმა ვოლფგანგ ნორდვიგმა (გდრ) 550 სმ სიმაღლე ისე დაძლია, რომ სტადიონის სახურავის დახმარებისთვის არ მიუმართავს და ოქროც მოიხვეჭა. თვით სიგრენი კი 540 სანტიმეტრით ვერცხლის მედალს დასჯერდა.

პუერტო-რიკოს კალათბურთელებთან წაგების შემდეგ იუგოსლავიის გუნდმა მსაჯთა კოლეგიაში პროტესტი შეიტანა იმასთან დაკავშირებით, რომ მათი მეტოქეები მეტისმეტად უხეშობდნენ. ამავე დროს მსაჯებმა მიიღეს ანტისადოპინგო სამსახურის დასკვნა: ანალიზებმა აჩვენეს, რომ პუერტო-რიკოს ნაკრების მე-6 ნომერი რიკო რივერა თამაშის დროს ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედებას განიცდიდა.

# მერნებს რადა დავაბრალოთ...

თანამედროვე ხუთჭიდის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში დიდია „დინამოს“ დამსახურება. ი. ნოვიკოვს, ა. ტარასოვს, ბ. ონიშჩენკოს არაერთგზის დაუპყრიათ უმაღლესი სპორტული მწვერვალები. ამ დღეებში ონიშჩენკომ მიუნჰენის ოლიმპიურ სარბიელზე ვერცხლის მედალი მოიპოვა და ყველაზე მეტი ქულა შესძინა საბჭოთა გუნდს, რომელიც საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ონიშჩენკო კიევის დინამოელია. მან წარმატებით გააგრძელა ჰელსინკიდან მოყოლებული ყველა ოლიმპიადაში დინამოელთა მონაწილეობის ტრადიცია.

ამ საზოგადოების 40 რჩეულ სპორტსმენს, რომელთა შორის ონიშჩენკოს კიეველი თანაგუნდელებიც არიან, დღეს თბილისი მასპინძლობს: საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის განვითარების 20 წლის მანძილზე აქ პირველად ტარდება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი.

ასპარეზობა 4 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა იპოდრომზე, წინადღით კი „ხუთი ღირსების რაინდებმა“ საფარიკაო ბილიკზე დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა. ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის საფარიკაო დარბაზი მაღალი რანგის შეჯიბრებებისთვის პირდაპირ მისწრებაა. ერთბაშად ოთხ ბილიკზე წყდებოდა ორთაბრძოლების ბედი და ამან უფრო მიმზიდველი გახადა სანახაობა.

კარგ სტარტს, მით უმეტეს, ხუთჭიდში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თბილისის დინამოელებს (ნ. ქაჯაია, ვ. კალინინი, ა. მაროტი, ი. ბოროდინი) ძალ-ღონე არ დაუზოგავთ და, კაცმა რომ თქვას, შემდგომი წარმატების რწმენის ჩასანერგად ურიგო როდი იყო III-IV ადგილების გაყოფა (ლიტვის გუნდთან). ეს კოლექტივები ბოლო ტურში დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. III ადგილის ბედი ვერც აქ გაირკვა — ორთაბრძოლა ფრედ (8:8) დამთავრდა. ჩვენმა გუნდმა მანამდე ერთნაირი ანგარიშით (11:5) სძლია ბელორუსიისა და ესტონეთის გუნდებს, აგრეთვე, უკრაინისა (12:4) და ლენინგრადის (9:7) წარმომადგენლებს. პირველი მარცხის სიმწარე თბილისელებმა მოსკოველებთან შეხვედრაში იწვნიეს — 5:11, ორი მატჩი კი ერთნაირი ანგარიშით (7:9) წააგეს რსფსრ-სა და ყაზახეთის ძლიერ კოლექტივებთან.

პირად ჩათვლაში თბილისელთაგან დამაჯერებლად იფარიკავა ნ. ქაჯაიამ: პირველი 10 ბრძოლიდან მან რვა მოგებით დაამთავრა. საბოლოოდ ქაჯაიამ 39 ბრძოლიდან 27 მოიგო (934 ქულა) და IV-VI ადგილები გაიყო ვ. კოშელსკისთან და ი. ტოგობეცკისთან (ორივე — ყაზახეთი).

ცხენოსნობაში ასპარეზობის დაწყებამდე თბილისისა და ერევნის 18 მერნიდან სპეციალისტებმა ბოლოს და ბოლოს ათს მისცეს სარბიელის ვიზა. და მაინც, როგორც ეს მუდამ ხდება, ამ ათეულშიც იყვნენ სპორტსმენთა საოცნებო ოთხფეხა მეგობრები.

ორი დღის განმავლობაში თითოეული ცხენი ოთხჯერ გამოიყვანეს სტარტზე, ამიტომ საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ყველაფერი ცხენზე როდია დამოკიდებული. მერნებს რაღა დავაბრალოთ, როცა ოთხი სპორტსმენიდან ერთსა და იმავე ცხენზე ზოგიერთი მხედარი ქულათა მაქსიმუმს იმსახურებდა, ზოგიც აშკარად ხელმოცარული სტოვებდა სარბიელს.

ჩვენი გუნდის ვეტერან ა. მაროტის ბედმა კარგი ცხენი არგუნა, მაგრამ მარტო გამოცდილებით ფონს ვერ გავიდა. ბოლო დროს ეს სპორტსმენი რატომღაც ცხენოსნობაში ვარჯიშს გულისყურით არ ეკიდება და აი, დაისაჯა კიდეც — მხოლოდ 610 ქულის მოპოვება შეძლო.

საბოლოოდ გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა II-III ადგილები გაიყვეს ესტონეთის კოლექტივთან. ამ სახეობაში სუსტად იასპარეზეს და საპრიზო სამეულის მიღმა დარჩნენ ფარიკაობაში დაწინაურებული რსფსრ-სა და ყაზახეთის კოლექტივები.

ასპარეზობა გრძელდება.

**თ. გაჩეჩილაძე**

• • •

სურათზე: ნ. ქაჯაია (მარცხნივ) და ი. ტოგობეცკი ასპარეზობისას.

ავტორის ფოტო.



• • •

გთავაზობთ ორი სახეობის ტექნიკურ შედეგებს:

ფარიკაობა: პირადი. 1. ს. სობინევსკი (მოსკოვი) — 1066 ქულა, 2-3. ს. შტორკი (ესტონეთი), რ. ვაიტეკუსი (ლიტვა) — 1000-1000... 7. მაროტი — 835... 16. ვ. კალინინი — 703. გუნდური: 1. მოსკოვი — 2506, 2. ყაზახეთი — 2354, 3-4. საქართველო, ლიტვა — 2316-2316.

ცხენოსნობა. პირადი. 1. შტორკი — 975, 2. ნ. ალავიძე (მისი შედეგები გუნდურ ჩათვლაში არ შედის), 3. ქაჯაია — 905... 9. კალინინი — 900... 25. მაროტი — 610... 27. ბოროდინი — 530. გუნდური. 1. ლიტვა — 2636, 2-3. საქართველო, ესტონეთი—2475-2475.

ორი დღის ჯამი. პირადი. 1. შტორკი — 1975, 2. ვაიტეკუსი — 1940, 3. ქაჯაია — 1899... 5. კალინინი — 1603... 15. მაროტი — 1445... 30. ბოროდინი — 1002. გუნდური. 1. ლიტვა — 4952, 2. საქართველო — 4791, 3. ესტონეთი — 4525.

სსრ კავშირის პირველობა

## ანგარიში არ გახსნილა

II ლიგა III ზონა

5 სექტემბერს მახარაძეში ერთმანეთს შეხვდნენ ამ ზონაში მყოფი ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი გუნდები — ადგილობრივი „მერცხალი“ და ბათუმის „დინამო“.

პირველ წრეში ბათუმელებმა თავიანთ მინდორზე სძლიეს „მერცხალს“— 2:0. ეს გარემოება თავისთავად აიძულებდა მასპინძლებს რევანშისთვის ებრძოლათ. ამას გარდა, მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა ორივე გუნდის წინაშე რთულ ამოცანებს სახავდა და, ნაწვიმარი მინდვრის მიუხედავად, მატჩი მეტად საინტერესო გამოდგა.

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ, მე-15 წუთზე, სტუმრებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, კვიტაიშვილმა კარის წინ გადასცა ბურთი ესებუას, რომლის დარტყმა ოდნავ ასცდა კარს. შემდეგ ინიციატივას „მერცხალი“ დაეუფლა და დინამოელთა კარი ზედიზედ რამდენიმეჯერ აღმოჩნდა აშკარა ხიფათის წინაშე. ჯერ მეტრეველის მიერ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი თურმანიძემ ოდნავ ააცდინა კარს, მერე კი პავლოვმა ზედიზედ აიღო უძნელესი ბურთები. საერთოდ, ბათუმელთა მეკარემ ამ დღეს შესანიშნავად ითამაშა.

მასპინძლებს შესვენების შემდეგაც ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტები, ძერძოდ, ბახტაძეს, მირიანაშვილს, თურმანიძეს, მაგრამ ბათუმელები უნარიანად, თავგამოდებით იცავდნენ კარს და საბოლოოდ წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

**ო. მურვანიძე.**

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მახარაძე.

ასე დამთავრდა: „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 3:2, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:0, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 2:1, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:0, „დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:1, „სპარტაკი“ (ორიოლი) — „ზვეზდა“ (ტირასპოლი) 1:2, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 2:4, „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლსკი) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 0:0.

## თურქეთში — სამსაჯოდ

14 სექტემბერს სტამბოლში შედგება უეფა-ს თასის გათამაშების მატჩი თურქეთის „ესკიშეჰირსპორისა“ და იტალიის „ფიორენტინას“ შორის.

ამ მატჩის სამსაჯოდ მიწვეულია თბილისელი არბიტრი გ. ბაქანიძე. მას დაეხმარებიან ქ. ყრუაშვილი (თბილისი) და ვ. ალოვი (ლენინგრადი).

## კონკურსის ვადა გაგრძელდა

ჭადრაკო ეტიუდების შედგენაში „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს საკავშირო კონკურსის არბიტრმა ვ. კალანდაძემ გვაცნობა: კონკურსზე ნაწარმოებების მიღების ვადა 15 ნოემბრამდე გაგრძელდა.

შეგახსენებთ, რომ „ბურევესტნიკის“ საკავშირო კონკურსში თითოეული ავტორისგან მხოლოდ ორი ეტიუდი მიიღება (თითოეული — ორ ცალად, დიაგრამაზე დახატული, ამოხსნით).

დაწესებულია სამი პრიზი, სამი საპატიო და ამდენივე საქები შეფასება.

მასალები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი. ლენინის ქ. № 87. „ბურევესტნიკი“. კონვერტზე წარწერით — „კონკურსზე“.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა პირველი ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები.

● „სამცხე“ (აწყური) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1. მსაჯი ნ. აზირეჯიბი (თბილისი).

● „გიგანტი“ (ლაითური) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 0:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ბურთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა სტუმრებს, „გიგანტის“ კარში ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა ო. რევაზიშვილმა გაიტანა. ეს მისი მე-18 გოლია.

● „ივერია“ (ხაშური) — ასკ (თბილისი) 2:0. მსაჯი მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).

არმიელები 25 წუთის განმავლობაში არ მოსცილებიან მასპინძელთა საჯარიმო მოედანს, მაგრამ ყველა ეს შეტევა უშედეგოდ დამთავრდა. შემდეგ ხაშურელებმა სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს და ოსაძემ ანგარიში გახსნა. უკვე მატჩის დასასრულს ჩუბინიძემ მეორედ აიღო არმიელთა კარი.

დისციპლინის დარღვევისთვის მინდვრიდან გაძევებულია არმიელი პ. ჩომახიძე.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) 2:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ცხაკაიელებმა პირველ ტაიმშივე მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას და მე-20 წუთზე ძაგანიამ გოლით დაამთავრა თავისი გუნდის ერთ-ერთი შეტევა. წულუკიძელებმა მეორე ტაიმში გამოასწორეს თამაში, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ 75-ე წუთზე იმავე ძაგანიასგან მიიღეს მეორე გოლი.

მსაჯთან შეკამათებისთვის გაფრთხილებულია წულუკიძელი გ. ელიავა.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ი. კანდელაკი.

ეს მატჩი უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია წესრიგის დარღვევებით და ყოვლად უმსგავსო ინციდენტებით. გაფრთხილებული არიან ბორჯომელი თ. ლურსმანაშვილი და ზესტაფონელი ა. წოწონავა, ხოლო მინდვრიდან გააძევეს ზესტაფონელი ჯ. მესხიშვილი, რომელმაც უდიერი სიტყვები აკადრა მსაჯს.

არ იყო წესრიგი გასახდელშიც, სადაც ერთ-ერთმა მაყურებელმა მსაჯს ხელი გაარტყა. ამ საკითხს რესპუბლიკური ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია განიხილავს.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:1. მსაჯი გ. პოლოხიანი (სოხუმი).

სტუმრებმა ძნელ გამარჯვებას მიაღწიეს მატჩის დასასრულს, როცა მათი ცენტრალური თავდამსხმელი ქარქაშაძე სწრაფი გარღვევის შემდეგ პირისპირ გავიდა მეკარესთან.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ტყიბულელი გ. ფხაკაძე.

● „დინამო“ (ზუგდიდი)—„ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:0. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

გაფრთხილება მიიღეს ზუგდიდელმა გ. ალმასიამ და სამტრედიელმა კ. კალაძემ.

● „კახეთი“ (თელავი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

სამივე ბურთი შესვენების შემდეგ გავიდა. თელაველთა მხრივ ორივე გოლი ცირეკიძემ გაიტანა, საპასუხო ბურთი კი ჩხეტიამ.

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:8. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

● ასკ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● ვანში ადგილობრივ „სულორთან“ მატჩის დროს შემადგენლობაში დებულების დარღვევის გამო თბილისის „ისანს“ წაგება ჩაეთვალა.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„მევენახე“ (ბოლნისი) — „შევარდენი“ (თბილისი) 6:1, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:0, „მევენახე“ (ვაზისუბანი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 5:1, „გაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 4:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ავტომობილის ტ ი“ (ცხინვალი) 4:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:1.

#### II ზონა

„საირმე“ (მაიაკოვსკი) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 2:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:0, „მზიური“ (გალი) — „განთიადი“ (აბაშა) 0:1, „იმერეთი“ (თერჯოლა) — „კომეტა“ (ფოთი) 2:1, „დინამო“ (ქუთაისი) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 11:1, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1.

წალენჯიხის „სქურს“ წაგება ჩაეთვალა ოჩამჩირის „ამირანთან“.

### ზონალური შეჯიბრებები

„ნაფარეული“ (თელავი) — „ძველი ანაგა“ (სიღნაღი) 1:0, „სოფლტექნიკა“ (თელავი) — „რუბეროიდი“ (გარდაბანი) 0:0, „მუკუზანი“ (გურჯაანი) — „ქისტაური“ (ახმეტა) 3:2, „ლიახვი“ (გორის რაიონი) — „განთიადი“ (მარნეული) 3:0, „მეხალიჩე“ (ცხაკაია) — „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 4:1.

ჭიათურის „მშენებელს“ მოგება ჩაეთვალა მახარაძის „ლაშესთან“.

## ბათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 7 სექტემბრისთვის

| | თ. | მ | ფ. | წ | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 27 | 17 | 8 | 2 | 47—27 | 42 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 27 | 17 | 7 | 3 | 53—19 | 41 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 28 | 16 | 8 | 4 | 48—18 | 40 |
| „შუქურა“ (კობულეთი) | 27 | 13 | 7 | 7 | 40—36 | 33 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 27 | 11 | 9 | 7 | 44—32 | 31 |
| „სულორი“ (ვანი) | 26 | 12 | 6 | 8 | 24—19 | 30 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 27 | 11 | 7 | 9 | 26—27 | 29 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 25 | 9 | 8 | 8 | 42—30 | 26 |
| „სამცხე“ (აწყური) | 27 | 10 | 6 | 11 | 46—42 | 26 |
| „კახეთი“ (თელავი) | 25 | 11 | 4 | 10 | 34—35 | 26 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 28 | 10 | 6 | 12 | 34—43 | 26 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 27 | 11 | 2 | 14 | 46—43 | 24 |
| „ისანი“ (თბილისი) | 27 | 8 | 8 | 11 | 26—29 | 24 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 27 | 9 | 6 | 12 | 28—40 | 24 |
| „ივერია“ (ხაშური) | 27 | 10 | 4 | 13 | 23—42 | 24 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 27 | 7 | 8 | 12 | 16—28 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 25 | 7 | 7 | 11 | 30—34 | 21 |
| ასკ (თბილისი) | 22 | 6 | 7 | 9 | 27—27 | 19 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 26 | 3 | 9 | 14 | 32—49 | 15 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 25 | 5 | 5 | 15 | 17—34 | 15 |
| „კოლმეურნე“ (წულუკიძე) | 25 | 4 | 6 | 15 | 11—40 | 14 |

# ათი იღბლიანი

ისევე როგორც სხვა თამაშებს, „სპორტლოტოსაც" ჰყავს თავისი ჩემპიონები. თავის დროზე ყველა გაოცდა, როცა მოსკოველმა ლ. მოროზოვამ 5000 მანეთი მოიგო.

ახლახან შეიქმნა სიმბოლური „კლუბი-10000", რომელშიც შედიან „სპორტლოტოს" თამაშის ის მონაწილენი, რომლებმაც ერთ ტირაჟში 10000 და მეტი მანეთი მოიგეს. კლუბი „გახსნა" მოსკოველმა შოფერმა ვ. ანისიმოვმა, რომელმაც ზუსტად 10000 მანეთი მოიგო. შემდეგ მას შეუერთდა კიეველი მასწავლებელი ლ. მელნიჩენკო.

ამ ორს დიდხანს ვერავინ გაუტოლდა, მაგრამ წლევანდელ მაისში ტალინელმა მ. ფენკრმ 6 ბილეთით 5-5 სახეობა „გამოიცნო" და ისიც 10000-ანების კლუბის წევრი გახდა. 10 ივლისს კლუბი ორი ახალი წევრით შეივსო: ალმაათელმა მუსიკოსმა ა. პანფილოვმა და მოსკოველმა ზეინკალმა ა. ფილიპოვმა 12480-12480 მანეთი მოიგეს. ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცის" ცვლის ოსტატმა ი. ხმელიოვმა 5-5 სახეობა ამოიცნო 5 ბილეთით და საერთო ჯამში 15600 მანეთი მოიგო. „სპორტლოტოს" აბსოლუტური ჩემპიონი გახლავთ რიგელი შოფერი ი. სტაკლე — 18720 მანეთი!

ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს დროში „10000-ანთა კლუბის" წევრები საქართველოს მშრომელებიც გახდებიან. ამის საფუძველს ის გვაძლევს, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები სულ უფრო იღბლიანად მონაწილეობენ „სპორტლოტოს" ტირაჟებში. თუ 23-ე ტირაჟში ჩვენი რესპუბლიკიდან 3 სახეობა 6535 კაცმა იწინასწარმეტყველა, 24-ე ტირაჟში 10 კაცმა 5-5 სახეობას „მოახვედრა". საქართველოდან ამდენი „ხუთოსანი" მანამდე არც ერთ ტირაჟში არ გვყოლია, აღსანიშნავია ისიც, რომ აქედან 7 თბილისელია და 3 ქუთაისელი.

ეს ტირაჟი მარტო „ხუთიანებით" როდი გამოირჩევა. 4 სახეობა სწორად „ამოიცნეს" 342 ბილეთში, ხოლო 3 სახეობა — 4887 ბილეთში. პრაქტიკულად ამ ტირაჟში ჩვენს რესპუბლიკაში გავრცელებული ბილეთებიდან ყოველი მეოცდაათე იღბლიანი გამოდგა.

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალურ სამმართველოში მშრომელთა ბევრი წერილი შემოდის რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან იმის თაობაზე, რომ მათთან დავიწყოთ „სპორტლოტოს" ბილეთების გაყიდვა. დღეისთვის „სპორტლოტოს" ბილეთების შეძენა შეიძლება თბილისში, სოხუმში, ქუთაისში, ტყიბულში, სამტრედიაში, რუსთავში, გორში და ზუგდიდში. ორიოდე დღეა, რაც „სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ფილიალი გაიხსნა ბათუმში. ბათუმელები შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ 25-ე ტირაჟში, რომელიც 10 სექტემბერს გაიმართება ხარკოვში.

ი. ლოპატკინი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.



დილის გზა.

ლ. ბელიაევის (დნეპროპეტროვსკი) ფოტო.

# სპორტული ჩოხატაური

## აბარებენ ახალი კომპლექსის ნორმატივებს

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის შემოღებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა რაიონში. ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო მისი ნორმატივების ჩაბარება. პირველ სტარტებზე გამოვიდნენ რაიკოოპერატივის, გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ქვემო ერკეთის, სხვა ფიზკულტურული კოლექტივების, აგრეთვე, რაიონის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრები.

## ყველას აჯობა უკონკურსოდ მონაწილემ

„კოლმეურნის" რაისაბჭოს საფეხბურთო პირველობაში 19 კოლექტივმა მიიღო მონაწილეობა. გათამაშებაში უკონკურსოდ მონაწილეობდა გაზის კონტორის გუნდი, რომელმაც ყველას აჯობა.

სპორტსაზოგადოების ჩემპიონი გახდა ფარცხმის კოლმეურნეობის ნაკრები, რომელსაც საზეიმო ვითარებაში გადაეცა პირველი ხარისხის სიგელი, ხოლო გუნდის წევრები პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

II ადგილი დაიკავეს ქვემო ერკეთის წარმომადგენლებმა.

## თასი — ქვემოერკეთელებს

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „სოფლის ცხოვრების" საფეხბურთო თასის გათამაშებაში 18 გუნდი მონაწილეობდა. თასი ქვემო ერკეთის კოლმეურნეობის გუნდმა (მწვრთნელი ნ. გიორგაძე) დაისაკუთრა.

დ. გურგენიძე.
(ჩვენი კორ).

# უცხოეთის ფეხბურთის ცაზე

## ბრიტო გაამართლა რეფერენდუმმა

ინციდენტი პოპულარული ბრაზილიური კლუბების — „ბოტაფოგოსა" და „ვასკო და გამას" შეხვედრის დროს მოხდა. „ვასკო და გამამ" ბურთი გაიტანა, რამაც ისე აღაშფოთა „ბოტაფოგოსა" და ბრაზილიის ნაკრების ცნობილი მცველი ბრიტო, რომ იგი მსაჯს მივარდა და ხელიც კი გაარტყა. ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის დებულების 110-ე პუნქტი და ვინც შეურაცხყოფს მსაჯს ან მის თანაშემწეს, დისკვალიფიცირებული იქნება 6 თვიდან ერთ წლამდე. ცხადია, ბრიტოსთვის გამონაკლისი არავინ დააკეთა და ცნობილ მცველს თამაში 1 წლით აუკრძალეს.

„ბრიტოს საქმეს" არ ცილდებოდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს, მას ეძღვნებოდა ტელეგადაცემები, რადიორეპორტაჟები. ესეც არაფერი. რიო-დე-ჟანეიროში „ბოტაფოგოს" გულშემატკივართა ნამდვილი დემონსტრაცია მოეწყო. მაგრამ ყველას მაინც ჟურნალ „ფატოს ე ფოტოსმა" გადააჭარბა. მან რეფერენდუმი მოაწყო თემაზე: „დამნაშავეა თუ არა ბრიტო?", ამასთან, რეფერენდუმში უამრავმა გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა. ჟურნალის რედაქციაში ათასობით წერილი მივიდა, სადაც ავტორთა 88 პროცენტი ფეხბურთელს ამართლებდა.

ბრაზილიის სპორტის კონფედერაციამ გაითვალისწინა რეფერენდუმის შედეგები. ბრიტოს თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე არა ჰქონია რაიმე სასჯელი და სწორედ ეს გამოიყენა კონფედერაციამ მის გასამართლებლად. მცველს დისკვალიფიკაცია მოუხსნეს, რამაც საშუალება შექმნა დაებრუნებინათ იგი ნაკრებში და, ამავე დროს, „ბოტაფოგოშიც".

## მოკლედ

● ბერლინი. გდრ-ის № 1 ფეხბურთელად აღიარებულია ეროვნული ნაკრებისა და ციკაუს „ზაქსენრინგის" მეკარე კროი.

● პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნოვაკი და მისი თანაშემწე კაჩანი. გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნულია იეჟეკი.

● რომი. ცნობილმა ესპანელმა ვეტერანმა დელ სოლმა აღარ განაახლა ხელშეკრულება „რომასთან". მიმომხილველთა აზრით, იგი ერთ-ერთ ესპანურ კლუბში გადადის.

● ვემბლი. აქ გამართული საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისური გუნდები — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" და „ევერტონი". გაიმარჯვა „ვულვერჰემპტონმა" — 2:1.

● დასავლეთ ბერლინი. „ჰერტას" შემადგენლობაში ჩაირიცხა 28 წლის გუდჟონი. გუდჟონი პირველი ინგლისელია, რომელიც გფრ-ის ბუნდესლიგაში თამაშობს.

● ლონდონი. როგორც ინგლისისა და იუგოსლავიის ეროვნული ფედერაციები შეთანხმდნენ, ამ ქვეყნების ნაკრები გუნდების მატჩი გაიმართება ლონდონში 11 ოქტომბერს.

● ბუდაპეშტი. აქ გამოცხადდა, რომ ფეხბურთის თამაშს თავს ანებებენ ნაკრების ყოფილი წევრები მესეი და ფარკაში.

# სახალხო კალენდარი-72

● კალინინგრადი, 6 სექტემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის აქ გამართულ ნახევარფინალურ ტურნირში 12,5 ქულით I ადგილი დაიკავა ოსტატმა ვ. ჟიდკოვმა (უკრაინა). II-III ადგილები გაიყვეს საერთაშორისო დიდოსტატმა ლ. შამკოვიჩმა (მოსკოვი) და საერთაშორისო ოსტატმა რ. ჯინჯიხაშვილმა (საქართველო), რომლებმაც 12-12 ქულა დააგროვეს. ზემოჩამოთვლილ მოჭადრაკეებთან ერთად ფინალის საგზური მოიპოვა IV ადგილზე გასულმა (კოეფიციენტთა ცხრილით) მოსკოველმა დიდოსტატმა ი. ბალაშოვმა, რომელმაც იმდენივე ქულა დააგროვა, რამდენიც ომსკელმა ოსტატმა ვ. ცეშკოვსკიმ. დიდოსტატები ა. სუეტინი (მოსკოვი) და რ. ვაგანიანი (სომხეთი) პირველი ხუთეულის მიღმა დარჩნენ.

● ოდესა, 5 სექტემბერი. გადადებული პარტიების დამთავრებით დღეს აქ ფინიში ჰქონდა სსრ კავშირის მოჭადრაკეთა ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალს. პირველი ოთხი ადგილისთვის, რომლებიც ფინალის საგზურებს იძლეოდა, იბრძოდა 18 მოჭადრაკე, მათ შორის, ოთხი დიდოსტატი — მოსკოველი ი. ავერბახი, რიგელი ა. გიპსლისი, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, კიეველი ლ. შტეინი და ოდესელი ვ. ტუკმაკოვი. მაგრამ I ადგილი დაიკავა ოდესელმა ლ. ალბურტმა (11,5 ქულა 17-დან). II — ვოროშილოვგრადელმა ვ. კუზმინმა (11), III-V ადგილები კი გაიყვეს მინსკელმა ა. კაპენგუტმა, რსფსრ-ს წარმომადგენელმა ვ. ზილბერშტეინმა და ტუკმაკოვმა (10,5-10,5). კოეფიციენტების ცხრილით ტუკმაკოვი „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდა. როგორც ხედავთ, ამჯერად ოსტატებმა აშკარად დაჯაბნეს დიდოსტატები.

● სოხუმი, 6 სექტემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის XIV საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. I ადგილი დაიკავა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა (რიგა) — 11 ქულა 15-დან. II ადგილზეა სსრ კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი ვ. სავონი (ხარკოვი) — 10,5, III — დიდოსტატი მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი) — 10.

**... 19.45**

◆ ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. დასკვნით ფაზაში შედის ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობს 148 ვაჟი და 128 ქალი — სამოყვარულო ჩოგბურთის საუკეთესო წარმომადგენლები და მსოფლიოს წამყვანი პროფესიონალები, უძლიერეს რვა ჩოგბურთელს შორის აღმოჩნდა სსრ კავშირის ჩემპიონი, მოსკოველი ო. მოროზოვა, რომელმაც მეოთხედფინალის საგზურისთვის ბრძოლაში ჰოლანდიის პირველ ჩოგანს ბ. სტოვეს სძლია — 6:4, 6:4.

# საცირკო ტრიუკი

## გადახტომა ...ჰაერში

ინგლისელი ლაილ ქემერონი ერთი თვითმფრინავიდან მეორეში... გადახტა. რა თქმა უნდა, ეს სპორტის ახალი სახეობის ჩასახვა არ გახლავთ. უბრალოდ, ამ ქალბატონმა თავისი ნერვების გამოცდა განიზრახა. და კმაყოფილიც დარჩა.



ჟურნალ „უიკენდის" (ინგლისი) ფოტო.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 8 სექტემბერს.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ჩვენი მისამართი, ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-66-47, 93-97-58, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-53, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.